მარიტა სახლთხუციშვილი

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები თანამედროვე ქართველი არტისტების შემოქმედების და ემიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი

პროექტის “ინტეგრაცია და იდენტობა“ მეორე ეტაპი მოიცავს ამერიკაში მცხოვრები ქართველი ხელოვანების შემოქმედების კვლევას, პირადი ინტერვიუირების, მათი ახალანდელი შემოქმედებისა და საქართველოდან წასვლის პერიოდის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ანალიზს.

კვლევის მეორე ეტაპში მონაწილეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები 32 რესპოდენტი, რომელთაგან ყველაზე უმცროსი 27 წლისაა ხოლო ყველაზე უფროსი 70 წლის, ასაკთან ერთად განსხვავებულია როგორც მათი შემოქმედებითი, ისე ცხოვრებისეული გამოცდილება, ემიგრაციის მიზეზები და სამომავლო მიზნები. საქართველოდან წასვლის პერიოდში ამ ხელოვანების უმრავლესობას (გარდა ორი რესპოდენტისა) უკვე ჰქონდა მიღებული სახელოვნებო განათლება, მათ შორის უმეტეს ნაწილს უმაღლესი სამხატვრო განათლება და გარკვეულწილად უკვე შემდგარ, ჩამოყალიბებულ ხელოვანებს წარმოადგენდენ, რომელბსაც საკუთარი შემოქმედებითი იდენტობა და სამუშაო მიმართულება ნაპოვნი ჰქონდათ, შესაძლოა ფინანსურ თუ სხვა სოციო-კულტურულ მიზეზებთან ერთად სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რის გამოც ამ ხელოვანების უმეტესობას საზღვარგარეთ ფორმალური უმაღლესი განათლება აღარ მიუღია (გარდა იმ ხელოვნებისა რომლებიც უშუალოდ სასწავლებლად გაემგზავრნენ), და უკვე არსებული ცოდნითა და ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობით დაიწყეს ახალ გარემოსთან ინტეგრაცია. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ემიგრაციაში ჩამოყალიბდნენ არტისტებად და მათი კავშირი ქართულ სახელოვნებო განათლების სისტემასთან არ იკითხება მათ შემოქმედებაში.მიუხედავად ამისა, გათვალისწინებით საქართველოდან წასვლის პერიოდისა, განსხვავებული იყო მათი ახალ,

განსხვავებულ სამყაროსთან შეჯახების მზაობა და ასევე, ცოდნა იმ კულტურული გარემოსი და სახელოვნებო პროცესებისა რომლებიც თანადროულად მიმდინარეობდა მსოფლიოში.რამდენადაც განსხვავებულია ამ პიროვნებათა მიერ ქვეყნის დატოვების პერიოდი, იმდენადვე განსხვავებულია მათი მოგონებები, დამოკიდებულებები იმ პერიოდის საქართველოსადმი და მიზეზები, რომელთა გამოც წავიდნენ ან წასვლა მოუწიათ. გამოიყოფა ემიგრაციის სამი ძირითადი პერიოდი, I – 1980 იანი წლები, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდი, თუმცა შედარებით უკვე გახსნილი საზღვრები როდესაც რთული ბიუროკრატიული პროცედურების მიუხედავად შესაძლებელია საზღვრის დატოვება, გარესამყაროდან მოედინება ინფორმაციული ნაკადი და ნელ-ნელა ჩნდება პროფესიული და პირადი კონტაქტები, ერთ-ერთი რესპოდენტის მეხსიერებაში ასახულია, როგორც პროგრესული პერიოდის დასაწყისი : "*1980-იანი წლების მეორე ნახევარში უფრო გაიხსნა ქართული ხელოვნების აზროვნება, გახდა თავისუფალი, რამაც წვლილი შეიტანა შემდგომ განვითარებაში. ეს დაიწყო, როდესაც მე ნიკოლაძეში*[1]*ვსწავლობდი. აკადემიაში დოგმატური მიდგომები მოხსნილი იყო, რაც გამოფენებში იგრძნობოდა, თავისუფალი ევროპული აზროვნება ჩანდა. იყო ასევე შეკრებები, ახალი თავშეყრის ადგილები ჩნდებოდა".* II ეტაპი – 1990-იანი წლების პერიოდი, ქვეყნის მძიმე სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია თითოეული ემიგრანტის მეხსიერებაში აისახა, როგორც ქაოტური, კრიზისული ხანა, როდესაც საფრთხის ქვეშ დადგა არა მხოლოდ შემოქმედებითი, არამედ სასიცოცხლო რესურსებიც. სხვა მოქალაქეების მსგავსად, მათაც ძირითადად ოჯახის წევრებისა და უახლოესი ადამიანების გადასარჩენად მოუწიათ ქვეყნის დატოვება, მოგვიანებით შემოქმედებითი ძიებისა თუ უძრაობის ეს პერიოდი ბევრი მათაგნის შემოქმედებაში იჩენს თავს ქვეცნობიერი ტრამვული რეფლექსიების, სამშობლოს ნოსტალგიისა და გამოცდილების გადააზრების კუთხით. III ეტაპი - 2000-იანი წლების განმავლობაში ემიგრირებული არტისტების მეხსიერებაში საქართველო გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური სიტუაციით არის შემონახული, როგორც ერთ-ერთი რესპოდენტი

[1] იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი

იხსენებს „იმ პერიოდს დავახასიათებდი, როგორც საკუთართავს. როგორიც მე ვიყავი, ისეთი იყო იმ დროინდელი საქართველო, მე კი ვიყავი ყველანაირად შეუმდგარი, ჩამოუყალიბებელი, გამოუცდელი და არატოლერანტული ადამიანი. როგორი ეკონომიკური სიტუაციაც მე მქონდა და ჩემს ოჯახს, ისეთი იყო ქვეყანაშიც“. ერთი მხრივ შემოქმედებითი სიტუაციის აქაური არასტაბილურობისა და პოლიტიკური დეზორიენტაციის შეგრძნებამ მეორე მხრივ კი მძლავრი ინფორმაციული ნაკადის გაჩენამ დასავლური სახელოვნებო მოვლენების შესახებ, საზღვრების გახსნამ და ქვეყნიდან გასვლის კიდევ უფრო გამარტივებამ, წვდომამ უცხოურ ფონდებსა და სასწავლო პროგრამებზეგაზარდა პროფესიული განვითარების სურვილით სასწავლებლად წამსვლელთა რაოდენობა და თვითდამკვიდრებისა და რეალიზების განსხავავებული შესაძლებლობები გააჩინა.

მიუხედავად ახალადგილზე დამკვიდრების პროცესის თანმდევი სირთულეებისა (განსხავებულ გარემოსთან ადაპტაცია და სოციალიზაცია, მარტოობის განცდა, ოჯახთან განშორება, ფინანსური სირთულეები და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს ენის ბარიერს.)მათმა უმრავლესობამ ემიგრაციის პირველი წლებიდანვე მოახერხა ადგილობრივ სახელოვნებო პროცესებში ჩართვა, მონაწილეობდნენ ჯგუფურ გამოფენებში, აწყობდნენ პერსონალურ გამოფენებს, აფორმებდნენ თეატრალურ წარმოადგენებს, ქმნიდნენ პერფორმანსებს, თავად ასწავლიდნენ სახელოვნებო ინსტიტუციებში. იმ არტისტების შემოქმედებით ცხოვრებაში, რომელთა ემიგრაციაც ცოდნის გაღრმავების ფორმალური გზებით დაიწყო, დიდი როლი ითამაშეს მათმა მასპინძელმა საგანმანათლებლო ინსტიტუციებმა, რომლებიც ეხმარებოდნენ მონაწილეობა მიეღოთ არამხოლოდ შიდა საკურსო გამოფენებში ასევე, ასწავლიდნენ თავად როგორ შეექმნათ გამოფენები და გაძღოლოდნენ საკუთარი შემოქმედების მენეჯმენტს. განსხვავებულია ემიგრანტ არტისტთა დამოკიდებულება პროფესიული კარიერის განვითარების შეფასებისას, ნაწილისთვის ეს დაკავშირებულია შემოქმედებით თვითრეალიზებასთან, ნაწილისთვის კი საზოგადოების გამოხმაურებასა და გაყიდვებთან, თუმცა არსებული

პირადი თუ სახელოვნებო მარკეტინგთან დაკავშირებული სირთულეებისა მათი მოღვაწეობის პროცესები ნაყოფიერად აღიქმება.ემიგრაციის ხანგრძლივი, რთული, იმედგაცრუებებითა თუ თავბრუდამხვევი წარმატებებით სავსე ცხოვრების ძალიან სწრაფი ყოველდღიური რიტმის ფონზე, საინტერესოდ და გარკვეულწილად ურთიერთგამომრიცხავ შეგრძნებად ისახება დამოკიდებულება საქართველოსადმი. რესპოდენტთა უმრავლესობა არ წყვეტს კავშირს საქართველოსთან და შეძლებისდაგვარად ახერხებენ ჩასვლას, ახლობელთა მოსანახულებლად, თუ სხვადასხვა არტისტული და საგანმანათლებლო პროექტების განსახორციელებლად, ამბობობენ, რომ აუცილებლად დაბრუნდებიან, თუმცა, მატერიალური თუ სხვა მიზეზების გამო, საბოლოოდ დაბრუნებაზე საუბარი ყველას უჭირს, ან მიუხედავად მძაფრი ნოსტალგიისა, უბრალოდ არ უნდათ, ვერ ხედავენ საკუთარ თავს ქართული სივრცის ნაწილად ვერც პროფესიულ და ვერც პირად ასპარეზზე, არიან ისეთები, ვისაც განგებ, თავიანთი მოღვაწეობა ბევრად უფრო სასარგებლოდ და საქართველოსთვის ბევრის მომტანად მიაჩნიათ ამერიკულ სახელოვნებო გარემოში, ვიდრე საქართველოში. აღნიშულის მიზეზები ალბათ მათი სამშობლოდან წასვლის პერიოდის საქართველოში მიმიდნარე მოვლენებში უნდა ვეძებოთ. გამოკითხულთა ნაწილი (ძირითადად ის, ვინც ქვეყანა 1990-იან წლებში დატოვეს) კითხვაზე საქართველოდან არ გამგზავრების შემთხვევაში როგორ განვითარდებოდა მათი ცხოვრება - პროფესიული კარიერა, პირადი ურთიერთობები და ექნებოდათ თუ არა თვითრეალიზების შესაძლებლობა, პასუხობს, რომ მათი ფიზიკურად ვერ გადარჩენის რეალური საფრთხე იდგა, ნაწილს მხატვრად დარჩენაში ეპარება ეჭვი, ისინი კი ვინც დარწმუნებულნი არიან, რომ აქ დარჩენის შემთხვევაშიც შეძლებდნენ პროფესიულ განვითარებას, დასავლეთში მიღებული გამოცდილება ეძვირფასებათ და სხვანაირად ვეღარ წარმოუდგენიათ. არტისტების მცირე ნაწილი, ვისაც სხვებთან შედარებით მეტი სირთულე შეხვდა ამერიკულ ყოფით ცხოვრებაში მიიჩნევს, რომ აქ უკეთ იქნებოდა. ამგვარად მათივე ხედვით, დასავლურ კულტურასთან ზიარება, შემოქმედებითი თავისუფლების შეგრძნება, ყოველდღიურობის შეცნობა,

სახელოვნებო ცხოვრებაში ჩართულობა, ამავდროულად დისტანცირება და ქართული რეალობის განსხვავებული რაკურსით აღქმა, დასავლური აზროვნების თეორიული ბაზისების შემეცნება, რომელიც საკუთარი ხელოვნების ქმნასა და აღქმას უფრო ამყარებს, თავისუფალი და განვითარებული არტ მარკეტის პარალელურად, მაქსიმალურად დადებითაც აღიქმება და უმთავრეს ცხოვრებისეულ გამოცდილებად წარმოჩინდება, გამოცდილებად, რომლის გაზიარებაც, ფაქტობრივად ერთადერთი მონაპოვარია, რომელიც ქართულ თანამედროვე ხელოვნებას შეუძლიათ შესთავაზონ. ისინი გეგმავენ საგანმანათლებლო და სახელოვნებო პროექტებს, ჩამოაქვთ გამოფენები, იღებენ ფილმებს საქართველოზე, მეტი ინიციატივისა და ინტერესის შემთხვევაში, მზად არიან უფრო აქტიურად ჩაერთონ საქართველოში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებში, გაუზიარონ სტუდენტებს თავიანთი იდეები, "ასწავლონ" თავისუფლება და გონებაგახსნილობა, ის, თუ როგორ არ უნდა ეშინოდეთ მუშაობის.

კვლევის ფარგლებში ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს ემიგრირებულ ხელოვანთა შემოქმედებასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები.საინტერესოა აღიქვამენ თუ არა თავს დღევანდელი გადმოსახედიდან რეალიზებულ ხელოვანებად, მათითვითრეალიზებისგანსხვავებული აღქმისა და დამოკიდებულების გათვალისწინებით, ნაწილი თვლის, რომ დიახ, არის და ამატებს "*ხშირად წარმოუდგენელი და დაუჯერებლია, რომ ვფიქრობ იმ წარმატებაზე, რომელიც ეტაპობრივად მხვდებოდა ცხოვრებაში და რაც ახლა ვითარდება - 58 წლის მამაკაცი".* ნაწილს კი მიაჩნია, რომ ეს ხანგრძლივი, ეტაპობრივი პროცესია და ადამიანი სანამ ცოცხალია საბოლოოდ ვერ რეალიზდება, რადგან მუდმივად ვითარდება, ახალს ქმნის. შემოქმედთა ერთი ნაწილისთვის კი განსხავევბული ცნებებია შემოქმედებითი რეალიზება საქართველოში და ამერიკაში, რადგან პატარა ქვეყანაში თუ საკმარისია ერთხელ გაიჟღეროს შენმა სახელმა, დიდ ქვეყანაში მუდმივად გიწევს მუშაობა, რომ საზოგადოებას თავი შეახსენო.

ამ ხელოვანებიდან უმეტესობის პროფესიული კარიერის განვითარება ემიგრაციამდეც წარმატებით დაიწყო. საქართველოში ყოფნის პერიოდში მონაწილეობდნენ როგორც აკადემიაში გამართულ გამოფენებში, ასევე აკადემიის მიღმა სხვადასხვა პერიოდში არსებულ საგამოფენო სივრცეებში: მხატვრის სახლი, კონსერვატორია, N გალერეა, ქარვასლა, ცისფერიგალერეა, ვანდა და სხვა. მუშაობდნენ მეგობრებთან და გალერისტებთა ნერთად, აწყობდნენ გამოფენებს და ქმნიდნენ პროექტებს (ასახელებენ ირაკლი ბუგიანს, ლევან მინდიაშვილს, ნუნუ ბალიაშვილს, ქეთევან კორძახიას, მანანა გორდელს, გელა კუპრაშვილს, ბაია წიქორიძეს, მარინა შენგელიას), რითიც ფაქტობრივად თავად ქმნიდნენ ამინდს მაშინდელ სახელოვნებო წრეებში - "*საქართველოში იმ დროს (1996 ან 1998 წელი), უცებ უკუნეთიდან კრეატიული სივრცე დაიბადა. ახლაც მახსოვს ის კონტრასტი, ის ხიფათის განცდა, რაც იმ დროს რამის კეთებას ახლდა. მაგ. ჰეფენინგების ან კონცერტების. ამას მოჰყვა გამოფენა N გალერეაში, აგრეთვე გამოფენა - გაყიდვა. ვმუშაობდი მეგობრების ჯგუფთან ერთად ფაბრიკაში, ასევე ვწერდით ინტერვიუებს, ვაკეთებდით ფოტოებს.*" - მამაკაცი, 42 წლის. გარდა ამის, იყვნენ ისეთები ვინც ემიგრაციამდეც „მოხვდა" ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ გამოფენებზე, საბჭოთაკავშირისმასშტაბით, გერმანიაში, აშშ- ნიუიორკში, სწორედ მიღებული გამოცდილება და საქართველოსა და ფარგლებს გარეთ არსებული გამოხმაურებები დიდ წილად აღმოჩნდა განმაპირობებელი ფაქტორი მათი მომავალი წარმატებული კარიერისა.

გათვალისწინებით იმ გარემოფაქტორების განსხვავებულობისა, რომელშიც თითოეული მათგანი შედგა როგორც ხელოვანი, მრავალფეროვანია იმ პიროვნებათა, თუ მიზეზთა სია, რომელთაც გავლენა მოახდინეს მათ ჩამოყალიბებაზე, გახდნენ შემოქმედებითი აქტივობების შთამაგონებლები ან სულაც პირდაპირი მნიშვნელობით მასწავლებლის მისია იტვირთეს. ხელოვანები ასახელებენ მსოფლიოში ცნობილ მხატვრებს და ფილოსოფოსებს, ხატვისა და ხელოვნების ისტორიის საკუთარ მასწავლებლებს, მასწავლებლებსდაწყებითი სახელოვნებო სკოლებიდან და სამხატვრო აკადემიიდან, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ოჯახის

წევრებისგან და გარემოსგან მიღებულ გამოცდილებას, პირად გამოცდილებას რომელიც ხელოვნების ნიმუშებზე დაკვირვებით მიიღეს და ასევე იმ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რაც მათდაუნებურად შეემთხვევათ. თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გლობალური ტექნოლოგიური ცვლილებების კვალდაკვალ გაჟღერდა ასევე ინტერნეტის, როგორც უზარმაზარი ინფორმაციის გადამცემის, დიდი გამოცდილების შემძენის ვერსიაც, რომელიც ფაქტობრივად ყველა სხვა საგანმანათლებლო წყაროს ანაცვლებს.

ამ ხელოვანთა წარმატების ერთგვარი ინდიკატორია ის მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოფენები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ და მათი ნამუშევრები სხვა ცნობილ მხატვრებთან ერთად მუდმივ თუ დროებით ექსპოზიციებში განთავსებულა, ესენია ევროპის, აზიის და ამერიკის ცნობილი საგამოფენო სივრცეები და თანამედროვე სახელოვნებო მოვლენები, მაგ: სოტბის აუქციონი, ბრუკლინის მუზეუმი, გალერეა სააჩი, საიმონ სუბალის გალერეა, ვენეციის ბიენალე, გუგენჰეიმის მუზეუმი, ნინგბოს თანამედროვე ხელოვნების ცენტრი, ჩინეთის ბიენალე, ვატიკანის სანპიედროს კათედრალი, ფლორენციის ბიენალე და სხვა.

მრავალფეროვანია ამერიკაში მცხოვრებ არტისტთა თვითგამოხატვის ენა, ზოგიერთი მათგანი ისევ იმ მედიაში მუშაობს რომლითაც დაიწყო, ნაწილმა კი მკვეთრად შეიცვალა მიმართულება. თითოული მათგანი აქტიურად განაგრძობს მუშაობას სხვადასხვა მედიაში: ქმნიან ნახატებს, ფილმებს, არტ პროექტებს, ქანდაკებებს, ფოტოებს, ასევე მუშაობენ ტექსტილის ხაზით, დაკავებულნი არიან ექპერიმენტებით სივრცულ ობიექტებზე და სინათლის აღქმის, ოპტიკის წესების, შინაგანი ემოციის კონცეპტუალური განაზრებებით, ზოგიერთი მათგანი ბოლოდროინდელი აბსტრაქტული ნამუშევრების ნაცვლად ძველ, სტუდენტობის პერიოდის გრაფიკული ტექნიკის გაცოცხლებას ცდილობს, ზოგიერთი კი კლასიკური მხატვრობიდან ფილმების გადაღებაზე გადაერთო, რაც დროთა განმავლობაში გარემოს, აზროვნების, პრიორიტეტების, გემოვნების ცვლილებასთან ერთად

ბუნებრივი პროცესია, თუმცა თითოეული მათგანისთვის ყოველთვის რჩება რაღაც „არსებითი„ „ფუძე„, რომელსაც საკუთარ თავთან აიგივებენ და ნამუშევრიდან ნამუშევარში, როგორც ინდივიდუალურ გამოხატვის კოდს გადაიაზრებენ, ეს შეიძლება იყოს როგორც ტექნიკური ხასიათის, ენობრივი დეტალი, ასევე აზრობრივი, ქვეცნობიერი კონტექსტი.

მიუხედავად ამერიკული არტბაზრის მასშტაბით აღმატებისა დანარჩენ არტ სივრცეებთან, აღსანიშნავია, რომ ხელოვნება იქ მცხოვრები მხატვრების დაახლოვებით 50%-ისთვის არის შემოსავლის ძირითადი წყარო, ხოლო დაახლოვებით 50%-ისთვის არა, მათ გამუდმებით უწევთ სხვა, დამატებითი სამუშაოს შესრულება იმისთვის, რომ თავს შემოქმედების უფლება მისცენ, ხოლო ძალიან მცირე ნაწილი ამბობს, რომ არ სჭირდება ამაზე ფიქრი.

ემიგრირებულ შემოქმედთა ნამუშევრებში საქართველოს კვალის ძიებას ცნობიერი და არაცნობიერი ინსპირაციების განხილვამდე მივყავართ, მხატვრების ნაწილი განგებ ცდილობს თითეული ნამუშევარი საქართველოს და აქ განცდილ ტკივილსა თუ ყოველდღიურ მოგონებებს დაუკავშიროს, ნაწილი კი განგებ გაურბის და ცდილობს საბოლოოდ დაივიწყოს მწარე გამოცდილებები, თუმცა მიუხედავად იმისა. რომ ამა თუ იმ არტისტის თვითგამოხატვის ენა, ვიზუალი ხშირად გლობალურია, ზოგიერთ ნამუშევარში ქართული კვალი აშკარად იკითხება, როგორც ერთერთი მხატვარი ამობობს “ *...შინაგანი სიმძიმე, ჩემს ნამუშევრებს ახასიათებს შინაგანი სევდა და ტკივილი, რომელიც სულ ჩანს..“*(51 წლის, კაცი). მათი უმეტესობა ასევე ინარჩუნებს კავშირს ქართველ ხელოვანებთან.

ამერიკაშიმოღვაწეარტისტებისორიმესამედინაწილითანამშრომლობსსხვადასხ ვაწამყვანგალერეებთანსაქართველოშიცდაუცხოეთშიც, საქართველოში მოქმედი გალერეებიდან ასახელებენ: გალერეა ვანდა, პოპიაშვილი-ღვაბერიძის გალერეა-პროექტი- wINDOW PROJECT; გალერეა ერთი, არტარეა, პროჯექთ არტ ბითი. ამერიკასა და ევროპაში არსებული გალერეებიდან სასახელებენ: Mars and Newman project; Ideal

Glass Gallery; The Lodge Gallery New York City; Gloria Delson Contemporary Arts; M.B Art Gallery; Simone Subal Gallery, Barbara ThumM Gallery; 107 Project; KUnst rau, The Watch Gallery, Odeta Gallery; Holtzman Gallery; The pool NYC; Pax Gallery, N FINE ARTS. ამერიკაში გამოიკვეთა ქართველი მარიტა დამენია, რომელიც აკავშირებს აქ მოღვაწე ქართველ არტისტებს და ეხმარება მათ გამოფენების ორგანიზებაში.

გამოკითხული არტისტების უმეტესობა საერთოდ არ იცნობს ქართულ არტ ბაზარს, დანარჩენების წარმოგენით კი იგი იმდენად ჩამოუყალიბებელია, რომ ფაქტობრივად არ არსებობს, თუმცა საინტერესოდ მიაჩნიათ ახალი თაობა დათვლიან, რომ ნიჭიერ სახელებს ხელშეწყობა სჭირდებათ.განსხვავებულია მათი ხედვა თანამედროვე ქართული ხელოვნების შესახებ. ნაწილიდადებითად აფასებსმას: ხედავენ მეტ შემოქმედებით თავისუფლებას,სილაღესა და სითამამეს, განათლებას ახალგაზრდა თაობაში, თანამედროვე დასავლური ხელოვნების ვიზუალური სახე-ნიშნების შემოდინებას *"ფაქტია რომ დიდი ინფორმაცია არსებობს, ინტერნეტის მეშვეობით, ამ ეტაპზე ვიზუალურად მაინც მეტად დაახლოებულია დასავლურ ტენდენციებთან. ვიზუალური სიახლოვე ხშირად არ ემყარება ცოდნას, თეორიას და ამიტომ არის უფრო გარეგნული მიბაძვა; (39 წლისკაცი, წასულია 2008 წელს)"*, გარდა ამისა, გრძნობენ ხელოვანის როლის ცვლილებას უბრალოდ მხატვრიდან, მოაზროვნე, ფილოსოფოს, სოციალურად აქტიურ პიროვნებამდე, რაც საბჭოთა კავშირის პერიოდისთვის არ იყო აქტუალური. სახელოვნებო მიმართულებით "თვალის გახელის პროცესი" 20 წლის წინ დაიწყო, რომელშიც თავადვე იყვნენ ჩართულები, მიუხედავად ამისა ქართული სახელოვნებო სივრცის დასავლურ აზროვნებასთან, კულტურულ მოვლენებთან ინტეგრაციის პროცესი მაინც შეზღუდულად ეჩვენებათ და მიაჩნიათ, რომ თანამედროვე ხელოვნება თანამედროვე პრობლემატიკას არ ასახავს. მთავარ უარყოფით მოვლენად თვლიანფაქტს, რომ სახელოვნებო კრიტიკა ფაქტობრივად არ არსებობს და ამავდროულად სამხატვრო აკადემიაში არაფერი იცვლება, სწავლების მეთოდები და იდეები არ იხვეწება და არ ვითარდება.

გარდა მასშტაბისა ქართული სახელოვნებო სივრცე დასავლურისგან პირველ რიგში განსხავდება ისტორიული წარსულით, დამოკიდებულებით, შესაძლებლობებით, მხატვრებისადმი დამოკიდებულებით - ევროპაში სახელმწიფო უფრო აქტიურად უჭერს მხარს ხელოვანებს, ამერიკაში არა, ამ მხრივ ისინიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ საქართველოში ხელოვანი ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშეა დარჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ქართველმა მხატვარმა დასავლეთში მიიღო განათლებადა მათ შემოქმედებაში გარკვეულწილად სტილთა შეზავება მოხდა, ქართული თანამედორვე ხელოვნება მაინც უფრო განსახვავებული მოჩანს, თითქოს უფრო შეზღუდული და ჩაკეტილია დასავლურთან შედარებით. *"საქართველო მაინც განცალკევებული ქვეყანაა, არც ევროპა არც აზია და ქვეყანაც იღებს ხასიათს, რაც განასხვავებს მას, ტრადიციები მაინც ღრმად არი ფესვგადგმული. საქართველოში უფრო რთულია ხელოვნების კეთება, დასალური სამყარო უფრო გახსნილი და თავისუფალია (47 წლის ქალი)".* გარდა ამისა, ქართული ხელოვნება დასავლურთან შედარებით უფრო ლოკალური მოსჩანს, ნაკლებად ინტეგრირებული საერთაშორისო პრობლემატიკასთან, ბევრად სუბიექტურ-ემოციურად აღიქმება და ნაკლებად კონცენტრირდება გლობალურ საკითხებზე. როგორც ერთ-ერთი ხელოვანი ამბობს, *"ქართული ძირითადად ვიზუალური დოკუმენტალისტური მიდგომით, ხელობის თვალსაზრისით განსხვავდება დასავლურისგან, სადაც ხელოვნება ფილოსოფია და აზროვნებაა (43 წლისკაცი)".*

რამდენადაც რთულია იყო ქართველი ხელოვანი, იმდენადვე რთულია გქონდეს პასუხი კითხვაზე, რას ნიშნავს იყო "ქართველი ხელოვანი", ზოგიერთისთვის ეს არაფერს ნიშნავს, ზოგისთვის კი არაფერს ცვლის, რადგან საკუთარ თავს გლობალურ კონტექსტში მოიაზრებს და არ სურს ეროვნულობის ჩარჩოთი თავის შემოზღუდვა, ნაწილისთვის ეს ერთგვარი სამუშაო მასალა და იმიჯის ნაწილია, რადგან ფართო, გახსნილ კულტურულ სივრცეში ინტეგრაციისას, პატარა ქვეყნის, უცხო კულტურის წარმომადგენელი *"ეგზოტიკურად აღიქმება" (32 წლის ქალი).* უმრავლესობისთვის ეს დიდი პასუხისმგებლობაა და მიაჩნიათ, რომ როდესაც პატარა ქვეყნის ხელოვანი გადის

დიდ სივრცეში და ახერხებს საკუთარი თავის პოვნას, ის ვალდებულია არ შეაქციოს თავის პატარა ქვეყანას ზურგი და იქცეს ელჩად, ერთვარ გამტარად იმ კულტურული კოდებისა, რაც გენეტიკურად გადაეცემა, ამავდროულად იგი უნდა შეეცადოს იმუშაოს საერთაშორისო ენით, რათა მისი სათქმელი გლობალურად აღქმადი იყოს. ზოგიერთი მათგანის პასუხში მცირედი პესიმიზმი შეინიშნება, მათ არ სურთ ამაზე საუბარი, ან უჭირთ დუალური დამოკიდებულების გადმოცემა, ერთ-ერთი ხელოვანი გვპასუხობს *"საქართველო თუ ნიშნავს რამეს, მაშინ ესეც იგივეს უნდა ნიშნავდეს (61 წლისკაცი)".* გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ამ არტისტების უმეტესობააგრეთვე აღიქვამს თავს ქართული სახელოვნებო სივრცის ნაწილად, იმდენად რამდენადაც თავიანთი თვითაღქმით არიან დაკავშირებულნი საქართველოსთან, თუმცა მიაჩნიათ. რომ ეს არ უნდა იყოს ცალმხრივი პროცესი და ქართული სახელოვნებო გარემოც უნდა მოიაზრებდეთ მათ თავის ნაწილად, სურთ გრძნობდნენ მეტ ინტერესს და პროდუქტიულ უკუკავშირს.

თანამედროვე ხელოვნების განვითარების მასშტაბების გათვალისწინებით, საინტერესოა ემიგრანტი ხელოვანების დამოკიდებულება ზოგადი სახელოვნებო საკითხების მიმართ, გამოიკვეთაორი განსხვავებული მიდგომა აკადემიური სახელოვნებო განათლების აუცილებლობის შესახებ, ერთნი თვლიან. რომ აკადემიური, კლასიკურ-რეალისტური საფუძველი აუცილებელია. რადგან თუ გინდა, "ქმნიდე" ხელოვნებას, უნდა შეგეძლოს ნამუშევრის ფიზიკურად შექმნა, ხოლო ხელოვნების "კეთებისთვის" - არა.მეორენი თვლიან. რომ ჩვენ ეპოქაში. იყო ხელოვანი არ ნიშნავს მაინდამაინც აკადემიური განათლების აუცილებლობას, რადგან გვაქვს მაგალითები რამდენად წარმატებულნი შეიძლება იყვნენ სხვაპროფესიების წარმომადგენლებიც, რომლებმაც სამეტყველო ენად აირჩიეს ხელოვნება და ქმნიან კონცეპტუალურ არტს, მაგრამ აქვთ განსჯისა და აზროვნების, გამოხატვის უნარები.

რაც შეეხება ხელოვანის როლს საზოგადოებაში, იგი გამომიდნარეობს თავად ხელოვნების ადგილიდან თანამედროვე მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში,

გლობალურ სააზროვნო სისიტემაში, ხელოვანი გვევლინება აქტორად რომელიც ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, მისი როლი უფრო სოციალური ხდება, მისი მსოფლმხედველობა კავშირშია მიმდინარე მოვლენებთან, რადგან იგი ეხმარება საზოგადოებას სხვადასხვა საკითხების გადააზრებაში და ცნობიერების განვითარებაში, ამავდროულად აქვს უნარი მოახდინოს ზეგავლენა მიმდინარე პროცესებზე და საზოგადოებაზე *"ხელოვანი მეგზურივითაა, მიდის და 10-20 წლის შემდეგ საზოგადოება უკან მიჰყვება - 61 წლის მამაკაცი."* გამოიკვეთა განსხვავებული დამოკიდებულება თავად ხელოვნების მიმართ, ერთი დამოკიდებულებით ხელოვნების ქმნის პროცესი მიღმიერთანაა კავშირში და ამაღლებულის გამოხატვას ემსახურება, მეორე მხრივ კი თანამედროვე ადამიანის განსაკუთრებულ ინტერესს ინტერაქტიული ნამუშევრები იწვევს, რომლებსაც შემეცნებისა და ესთეტიკური ტკბობის გარდა კიდევ ერთი გართობის ფუნქციაც აქვს შეთავსებული და აქცენტირებული.

ასევე არაერთგავროვანია პასუხები კითხვაზე, რას ნიშნავს იყო ემიგრანტი ხელოვანი. ზოგადად რთულია იყო ხელოვანი და ორმაგად რთულია იყო ემიგრანტი ხელოვანი, რადგან ეს ნიშნავს მუდმივ მზადყოფნას წინააღმდეგობებისა და გამოწვევებითვის, ამავდროულად შენი უცხოობა საინტერესოა გარშემომყოფებისთვის და ამის გამოყენება უნდა შეძლო, თუმცა ემიგრანტი ხელოვანების დიდი უმრავლესობა აღნიშანვს, რომ განსხავავებით ევროპისგან, ამერიკული საზოგადოების მულტიკულტურულობისა და მულტინაციონალურობიდან გამომდინარე ვერ გრძნობენ, რომ ემიგრანტები არიან, არ აქვთ საზოგადოებასთან გაუცხოების შეგრძნება და ამ გარემოში ინტეგრაციის პროცესი ბევრად უფრო მარტივი და უმტკივნეულოა, ამას ემატება ტექნოლოგიური განვითარება, რომელიც ფაქტობრივად შლის საზღვრებს და ამარტივებს ინფორმაციის გაცვლასა და კონტაქტების, კავშირების გაფართოვებას.

აქტუალურია ხელოვნების დაფინანსების საკითხი, უმეტესობას მიაჩნია, რომ ხელოვნება უნდა ფინანსდებოდეს არაპირდაპირ სახელმწიფოს მხრიდან, არამედ უნდა

არსებობდეს ხელშეწყობის პროგრამები, პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ხელოვნების განვითარებაზე, საპასუხისმგებლო წილი მოდის ასევე კერძო სექტორზე, რომელიც ყოველთვის იყო უმთავრესი ძალა ხელოვნების ფინანსური ხელშეწყობის საკითხში.

პოსტ-ინტერნეტიზაციის ეპოქაში,ოცდამეერთე საუკუნისხელოვნებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, არტისტების უმეტესობა ფიქრობს, რომ რთულად გასარკვევი პროცესი მიმდინარეობს, თუმცა მათგან მხოლოდ 3 რესპოდენტი აღიქვამს ფაქტს ცალსახად ნეგატიურად და თანაამედროვე ხელოვნებას ჩიხში მოქცეულად, დანარჩენები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით გამოწვეულ სწრაფ ცვილელებს რამდენიმე მხარე აქვს და შესაძლოა, ხელოვნების განვითარებას ემსახურება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ნაზავმა ხელოვნებასთან ახალი მიმართულება შექმნა, გაჩნდა ახალი მედიუმები, რომლებიც თვითგამოხატვის ახალ საშუალებებს იძლევა. ამასთან ერთად იგი გახდა ბუნდოვანი, რთულად აღსაქმელი, ტექნოლოგიზირებული, თითქოს დაიცალა კლასიკური გაგებით ქმნადობისგან, *"აქამდე ყველაფერი ხელით კეთდებოდა, ტექნოლოგიებმა კი ძალიან ბევრი შეკითხვა დასვა - მაგ. საჭიროა თუ არა ხატვა, მაშინ როდესაც კამერამ შეიძლება გადაიღოს. ადრე ხელოვნებაში ჩანდა რელიგიურობა, ავტორიტეტები, საზოგადოებები, იერარქია, ახლა კი გაქრა ეს თემები და ადამიანები თავიანთ პიროვნულ ემოციურ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ. კომპიუტერით შექმნილი ხელოვნება ძალიან პოპულარული ხდება."* გლობალიზაციის ამ მონაპოვარისგან გაქცევა შეუძლებად მოჩანს და კვეთს შიშებს,რომ ხელოვნება კარგავს საკუთარ შემოქმედებით როლს და იქცევა მექანიზებულ, უსულო გამეორებად, არაღირებულ, იდენტობისგან დაცლილ აქტად, რომელიც ერთდღესაც მარტივად შეიძლება გაქრეს.

მსოფლიოში მიმდინარე კულტურული ინტეგრაციის პროცესი მხატვრული ევოლუციისათვის წარმოქმნის როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ასპექტებს, იგი ერთდროულად სასარგებლოცაა და საფრთხის შემცველიც,თუმც, ამ გადასახედიდან

შეუჩერებელი მოსჩანს. უარყოფით მახასიათებლებს შორისაა, აუთენტურობის, იდენტობის დაკარგვის საფრთხე. მაგრამ ინტეგრაციის პროცესი, როგორც ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალა, გადარჩენის ერთადერთ გზად მოსჩანს, ამ პროცესით მოტანილი "ღიაობა" კულტურის გადამრჩენია, ეს აჩენს შესაძლებლობას, რომ ის არ გაიყინოს და განვითარდეს. თუკი ინტეგრაცია გულისხმობს მენტალურ ცვლილებებს და ახალ ღირებულებათა სისიტემის ჩამოყალიბებას, ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება საქართველოსთვის, რადგან ჩვენი ქვეყნისთვის სხვა კულტურებთან კონტაქტი არ არის უცხო და მას აქვს უნარი და გამოცდილება სასარგებლოდ გარდაქმნას სიახლეები, ეს დღევანდელ საზღვრებმოშლილ მსოფლიოში გადარჩენის ერთადერთ გზად ისხება.

გამოკითხული არტისტების სრული უმრავლესობა აქტიურად ქმნის ნამუშევრებს, მათი ნაწილი (10) ემზადება გამოფენებისთის ახლო მომავალში. 5 რესპოდენტი ამბობს, რომ მუშაობს სპონტანურად და არაფერს გეგმავს წინასწარ, თუმცა ისინიც მუშაობენ, ქმნიან, ზოგიერთი მათგანი შესაძლებლობის შემთხვევში ამბობს, რომ სიამოვნებით გააკეთებსგამოფენას საქართველოში, ორი მათგანი კი ახორციელებს სასწავლო შემოქმედებით პროექტებს საქართველოში, ატარებს ტრენინგებს, იღებს ფილმებს და აშ. ორი მათგანი მუშაობს კონკრეტულად ქართული აბრეშუმის პოპულარიზაციაზე. ერთ მათგანს სურს მეტი დრო დაუთმოს შემოქმედებას.

საბოლოო ჯამში ამ არტისტების შემოქმედებითი ინტეგრაცია დასავლურ, ამერიკულ სახელოვნებო სივრცესთან როგორც ინდივიდუალურად თითოეული მათგანისთვის, ისე ზოგად ქართული თანამედროვე ხელოვნებისთვის სასარგებლო და პროდუქტიული პროცესია, რომელიც ემყარება ბევრ სირთულესა და იმედგაცრუებას, ამავდროულად, ბევრ წარმატებულ გამოფენასა და აღიარებული ნამუშევრების შექმნას და საბოლოოდ გლობალიზაციის შეუჩერებელ ნაკადში ხელს უწყობს ქართული კულტურის მოტივების შედინებას, მისი არსებობის საერთაშორისოდ დაფიქსირებას, ამავდროულად, საქართველოში მიმდინარე სახელოვნებო პროცესების დაკავშირებას

დასავლეთში აქტუალურ სახელოვნებო საკითხებთან და მიმართულების მიცემას დანარჩენი მსოფლიოს როგორც ვიზუალურ-ესთეტურ, ისე არსობრივად აქტუალურ პრობლემატიკასთან.